საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 56/00 „16" ივნისი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროსა
უდიტის დეპარტამენტის უფროსი
ილია გოცირიძე
„16" ივნისი 2010 წელი

ეგზ.N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის (გასვლითი) აუდიტის შესახებ

შინაარსი\საძიებელი:

ნაწილი I. შესავალი გვ.2

ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგების შეფასება გვ.3

ნაწილი III. ძირითადი ტექსტი გვ.7

1. წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამტკიცებული ასიგნებების

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

ფარგლებში გადანაწილების მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის, ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის არსებული წესების შესრულების მდგომარეობა გვ.7
2. გადასახდელების სახეების მიხედვით ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის კანონიერება..... გვ.11
3. კრედიტების, გრანტებისა (ფულადი და სასაქონლო) და ჰუმანიტარული დახმარებების მიღების, აღრიცხვისა და მიზნობრივად გამოყენების მდგომარეობა.....გვ.14
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა;.....გვ.17
5. მოთხოვნებისა და ვალდებულებების (დებიტორ-კრედიტორების) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობა; გვ.18
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის, შენახვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების მდგომარეობა; გვ.20
7. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშების შედგენის სისრულე და შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან გვ.23
IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი ..... **გვ 24**

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები **გვ.25**

ნაწილი I - შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 16 აპრილის №46/43 ბრძანება.

აუდიტის ფორმა (სახე) – ფინანსური და შესაბამისობის გასვლითი აუდიტი..

აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა – საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორები კორნელი გაბლიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ელენე ელიზარაშვილი.

აუდიტის პერიოდი – 01.01.2008 – 01.01.2010.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

სსიპ "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი- 0160, პეკინის ქ. №28, ტელ./ფაქსი (99532) 382184.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 19 აპრილს და დამთავრდა 2010 წლის 18 მაისს.

შემოკლებანი:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - სააგენტო;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - სახაზინო სამსახური;
4. „საქართველოს 2008 წლის (2009 წლის) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი - წლიური საბიუჯეტო კანონი;
5. საქართველოს კანონი - კანონი;
6. საქართველოს მთავრობა - მთავრობა;
7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - ეკონომიკის სამინისტრო.
8. ათასი ლარი - ათ.ლარი.

ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2009 წელს არაფინანსური აქტივების მუხლიდან სუბსიდიების მუხლში ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნა სააგენტოს მიერ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, კერძოდ იგი არ მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამატებით დასაფინანსებელი ღონისძიებების აუცილებლობის, ასევე დაფინანსების წყაროდ გამოყენებულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტრომ

სააგენტოს თხოვნა დააკმაყოფილა (არაფინანსური აქტივების შემცირების ხარჯზე სუბსიდიები გაიზარდა 45,5 ათ. ლარით), რითაც თვითონვე უგულებელყო ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი”.....გვ.9

2. 2009 წლის განმავლობაში აღებულმა ვალდებულებებმა და ხარჯების ანაზღაურებაზე განხორციელებულმა გადახდებმა დაზუსტებულ გეგმაზე შესაბამისად 93,8 ათ. და 89,5 ათ. ლარით მეტი შეადგინა. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონი ასიგნების გარეშე ვალდებულებების აღებასა და გადახდის განხორციელებას დაუშვებლად მიიჩნევს.....გვ.9

3. ზოგიერთ შემთხვევაში სააგენტოს მიერ ვალდებულებები აღებულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონისა და „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განსახორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის მოთხოვნის იგნორირებით, ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე, რაც დაუშვებელია და იწვევს ისეთი კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნას, რომლის გასტუმრებაზეც სახელმწიფო კანონდარღვევით წარმოქმნილი ვალდებულების გამო პასუხისმგებლობას არ აიღებს.....გვ.10, 19

4. 2008 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სუბსიდიებსა და არაფინანსურ აქტივებზე ხარჯების საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევით მიკუთვნების შემთხვევებს, რის შედეგადაც 2008 წლის ბალანსში და მის დანართებში არაფინანსური აქტივების ნაშთების და სუბსიდიებისა და არაფინანსური აქტივების მუხლებით გაწეული ხარჯების შესახებ ჩანაწერები არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.....გვ.11

5. სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის მოთხოვნათა დარღვევით ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯების სახით 4 შემთხვევაში ზედმეტად ანაზღაურებულია 3,4 ათ. ლარი. სააგენტოს ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია

შეიმუშავოს მექანიზმები ზედმეტად გაცემული მივლინების თანხების ხაზინაში დასაბრუნებლად..... გვ.16

6. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებული სემინარის ჩასატარებლად ქ. ბათუმში 2009 წლის 19 - დან 21 ნოემბრის ჩათვლით მივლინებულ სააგენტოს პერსონალს (5 კაცი) სასტუმროში ცხოვრების ხარჯების სახით აუნაზღაურდა 3931 ლარი. მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის თანახმად, ქვეყნის შიგნით მივლინებისას საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისათვის მოსამსახურეს ეძლევა თანხა არა უმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებისა. ქ. ბათუმის 4 ვარსკვლავიან სასტუმრო „ინტურისტში" გადახდილი თანხა ქვეყნის შიგნით საშუალო დონის სასტუმროში ცხოვრების ღირებულებად ვერ ჩაითვლება.....გვ. 16

7. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება გამოყოს შესყიდვების კოორდინატორი ან ინსპექტირების ჯგუფი, რაც აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სააგენტოს მიერ შესრულებული არ ყოფილა. წარმოდგენილი ვერ იქნა შესყიდვების შესახებ ანგარიშები (გარდა 2009 წლის მეოთხე კვარტლისა) და სახელმწიფო შესყიდვების 2008 წლის დამტკიცებული გეგმა, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას მოეთხოვება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონითა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვა, გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისებისა, სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას ეხება, მით უმეტეს შესყიდვების სააგენტოს, რომლის მიერაც იქნა შემუშავებული და დამტკიცებული დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ".....გვ.17

8. 2008 წელს სააგენტოს ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისას არ იყო გათვალისწინებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი

ორგანიზაციების და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები, რის შედეგადაც არაფინანსური აქტივების ღირებულება როგორც 2008, ისე 2009 წლის ბალანსში არასწორად არის დაფიქსირებული. ცვეთის არასწორად დარიცხვის გამო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ანგარიშში (ბალანსის დანართი N2) არასწორად არის გამოყვანილი ფაქტობრივი ხარჯებიც. სააგენტოს ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია მოხდეს ძირითად აქტივებზე 2008 - 2009 წლებში დარიცხული ცვეთის გადაანგარიშება ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესებითა და ცვეთის ნორმებით.....გვ.22

9. სააგენტოს ბალანსზე 2010 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ E430, რომელიც სადაზღვევო კომპანია სს “ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიერ ჩანაცვლებული იქნა 2009 წლის 17 ივლისს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სააგენტოს ბალანსზე რიცხული „მერსედეს ბენც“ E 320 - ის ნაცვლად. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ აღნიშნული ავტომანქანა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებულა 2009 წლის 2 მარტსაც. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანია “ჯი პი აი ჰოლდინგს“ სააგენტოს თავმჯდომარის მიერ წერილობით ეთხოვა სადაზღვევო თანხის გ. მუსაშვილის (თავმჯდომარის მოადგილე) ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ. აუდიტის ჯგუფისათვის უცნობია თუ რა თანხით შეფასდა სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევა და რა ოდენობით ჩაერიცხა იგი გ. მუსაშვილს. ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის სადაზღვევო თანხის ფიზიკური პირისათვის ჩარიცხვა გაუმართლებლად მიგვაჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის ივლისშიც, ამავე ავტომანქანის მონაწილეობით მომხდარი ზემოხსენებული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სადაზღვევო თანხის ჩარიცხვას სააგენტოს თავმჯდომარე თავის პირად ანგარიშზე ითხოვდა ხსენებული სადაზღვევო კომპანიისაგან. მიგვაჩნია, რომ ეს ორივე შემთხვევა შესაბამისი ორგანოების შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.....გვ.22

10. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახური შექმნილი იყო ფორმალურად და არ ფუნქციონირებდა. ნაცვლად იმისა, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები მისი ფუნქციონირების დასაწყებად, იგი საერთოდ გაუქმებული იქნა. შიდა აუდიტის არ არსებობა იწვევს კონტროლის რისკის მაღალ დონეს, ეს კი თავის მხრივ უზუსტობების სიმრავლეს მართვის, ანგარიშსწორებისა და აქტივების განკარგვის პროცესში, ასევე ფინანსურ ანგარიშგებებში.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არსებობდეს შიდა აუდიტის სამსახური და ცალსახად გაიმიჯნოს მისი ფუნქციები. იგი აქტიურად უნდა ჩაერთოს სააგენტოს სამეურნეო საქმიანობის პროცესების აუდირებაში რისკების აღმოსაფხვრელად, მის მიერ უნდა მოხდეს სააღრიცხვო პოლიტიკისა და საქმიანობის ხშირი შემოწმება და ტესტირება.

11. სააგენტოს პერსონალისათვის წერილობით არ არის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, მათი სამუშაოს აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმები, რის გამოც იზრდება სამუშაოს არასათანადოდ შესრულების რისკი. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საფინანსო სამსახური წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით - ბუღალტრით. აღრიცხვის პროცესში ფუნქციების გამიჯვნის არ არსებობა იწვევს უზუსტობებს, რადგან ერთპიროვნულად მთლიანი აღრიცხვის სრულყოფილად წარმოება სირთულეებთან არის დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს შეიქმნა საფინანსო სამსახური, დაინიშნა სამსახურის უფროსი, ასევე შესყიდვების კოორდინატორი, რას თავის მხრივ შეამცირებს შეცდომებისა და უზუსტობების რისკს.

ნაწილი III - ძირითადი ნაწილი

1. წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გადანაწილების მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის,

ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის არსებული წესების შესრულების მდგომარეობა

მთავრობის 2007 წლის 15 ივნისის N113 დადგენილებით სააგენტოს 2008 წლის ხარჯების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 350,0 ათ. ლარით. სააგენტოს მიერ საბიუჯეტო განაცხადით ზღვრული მოცულობის ზემოთ მოთხოვნილი იქნა 310,6 ათ. ლარი (პრემიების გასაცემად, ოფისის რემონტისათვის, ავტომობილის შესაძენად და სხვა). სულ საბიუჯეტო სახსრებიდან დასაფინანსებლად სააგენტოს მიერ 2008 წლისათვის მოთხოვნილი იქნა 660,6 ათ. ლარი.

წლიური საბიუჯეტო კანონით სააგენტოს 2008 წლის ასიგნებები განისაზღვრა მოთხოვნილი ოდენობით – 660,6 ათ. ლარით (მთლიანად საბიუჯეტო სახსრებით), აქედან ხარჯები (სუბსიდიების სახით) – 566,7 ათ. ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 93,9 ათ. ლარით.

წლიურ საბიუჯეტო კანონში 2008 წლის 23 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებით სააგენტოს ასიგნებები გაიზარდა 118,6 ათ. ლარით და შეადგინა 779,2 ათ. ლარი, მ.შ. სუბსიდიები გაიზარდა 71,0 ათ. ლარით (შეადგინა 637,7 ათ. ლარი), არაფინანსური აქტივები - 47,6 ათ. ლარით (შეადგინა 141,5 ათ. ლარი). ასიგნებების გაზრდა გამოწვეული იქნა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დანერგვისათვის სააგენტოს მიერ მიღებული მსოფლიო ბანკის გრანტის საბიუჯეტო კანონში წლის ბოლოს ასახვით.

დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯების გადანაწილებას 2008 წლის განმავლობაში ადგილი არ ქონია.

2008 წელს აღებულმა ვალდებულებებმა და ხარჯების ანაზღაურებაზე განხორციელებულმა მოთხოვნებმა შეადგინა 772,1 ათ. ლარი, რაც დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულზე 7,1 ათ. ლარით ნაკლებია.

მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის N139 დადგენილებით სააგენტოს 2009 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 700,0 ათ. ლარით. სააგენტოს მიერ საბიუჯეტო განაცხადიც ამავე თანხაზე იქნა წარდგენილი. ასიგნებები მოთხოვნილი

იქნა სუბსიდიებისა (614,5 ათ. ლარი) და არაფინანსური აქტივების (85,5ათ. ლარი) მუხლებით, რაც ამავე მოცულობებით დამტკიცდა წლიურ საბიუჯეტო კანონშიც.

წლიურ საბიუჯეტო კანონში 2009 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებებით სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებები შემცირდა 10,0 ათ. ლარით (შემცირებული იქნა არაფინანსური აქტივების ზრდისათვის გათვალისწინებული ასიგნებები), ხოლო 2009 წლის 4 დეკემბრის შეტანილი ცვლილებით სააგენტოს ასიგნებები (სუბსიდიები) გაიზარდა 134,7 ათ. ლარით (აისახა მსოფლიო ბანკის ზემოხსენებული გრანტი), რის შედეგადაც სააგენტოს 2009 წლის ასიგნებები განისაზღვრა 824,7 ათ. ლარით (სუბსიდიები - 749,2 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივები -75,5 ათ. ლარი).

რაც შეეხება დამტკიცებულ ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებას, სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 27 მაისის N2/1-1285 წერილით ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა მიმდინარე ხარჯების დასაფარად არაფინანსური აქტივების მუხლიდან სუბსიდიების მუხლში 45,5 ათ. ლარის გადატანა. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N 189 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის" თანახმად (მე–2 მუხლის მე–2 პუნქტი), წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების შესახებ მხარჯავი დაწესებულების წერილობით თხოვნაში აუცილებელია მოყვანილ იქნეს შესაბამისი დასაბუთება ასიგნებათა მოთხოვნილ გადანაწილებაზე, რომელიც ფინანსთა სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის N 14-02/3036 წერილის თანახმად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც დამატებით დასაფინანსებელი ღონისძიებების აუცილებლობის, ასევე დაფინანსების წყაროდ გამოყენებულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ, რაც არ შესრულებულა. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ სააგენტოს თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და არაფინანსური აქტივების შემცირების ხარჯზე სუბსიდიები გაზრდილი იქნა 45,5 ათ. ლარით (საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N247, 28.05.09).

2009 წლის განმავლობაში აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 918,5 ათ.

ლარი, რაც დაზუსტებულ გეგმაზე 93,8 ათ. ლარით მეტია. ამავე პერიოდში ხარჯების ანაზღაურებაზე განხორციელებულმა მოთხოვნებმა და გადახდებმა შეადგინა 914,2 ათ. ლარი (დაზუსტებულ გეგმაზე 89,5 ათ. ლარით მეტი). ზემოაღნიშნულის გამო არ შესრულდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის მე–12 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა ასიგნების გარეშე ვალდებულებების აღებისა და გადახდის განხორციელების დაუშვებლობის შესახებ.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც სააგენტოს მიერ გასაწევ გადასახდელებზე ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა სახაზინო სამსახურში ხდებოდა უფრო გვიან, ვიდრე მათი გაწევა (დარიცხვა). მაგალითად: შპს „მაკენ ერიქსონ ჯორჯიასთან" 2008 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე ანგარიშ–ფაქტურები გამოწერილია 2008 წლის 31 ოქტომბერს და 29 ნოემბერს, მიღება–ჩაბარების აქტი გაფორმებულია 29 ოქტომბერს, ხოლო სააგენტოს მიერ გასაწევ თანადაფინანსების ხარჯებზე 5,9 ათ. ლარის N 175 ვალდებულება აღებულია 2008 წლის 5 დეკემბერს; შპს „გორბი–გელაპი საერთაშორისო ცენტრთან" 2008 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე ანგარიშ–ფაქტურაც და მიღება–ჩაბარების აქტიც დათარიღებულია 2009 წლის 27 იანვარით, ხოლო სააგენტოს მიერ გასაწევ თანადაფინანსების ხარჯებზე 3,4 ათ. ლარის გადახდის ვალდებულება აღებულია 2009 წლის 6 მარტს (N18); შპს „ფელის ინვესთმენთს ენდ ჰოლდინგ ლიმითედ"-თან 2009 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ანგარიშ–ფაქტურა გამოწერილია 2009 წლის 21 ნოემბერს (მიღება – ჩაბარების აქტი დაუთარიღებელია), ხოლო სააგენტოს მიერ გასაწევ თანადაფინანსების ხარჯებზე ვალდებულება 1,9 ათ. ლარის გადახდაზე აღებულია 2009 წლის 4 დეკემბერს (N181) და სხვა. ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან გამომდინარე, სააგენტოს შეექმნა უპირობო ვალდებულება გადახდების წარმოებაზე, რითაც არ შესრულდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის 31-ე მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნა ფინანსთა სამინისტროს

წინასწარი თანხმობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ვალდებულების აღების დაუშვებლობის შესახებ. ასევე არ შესრულდა ფინანსთა მინისტრის 2007 წლის წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განსახორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ გადახდებზე ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე ვალდებულების აღების დაუშვებლობის შესახებ.

2. გადასახდელების სახეების მიხედვით ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის კანონიერება.

ეკონომიკური კლასიფიკაციის "ხარჯების" მუხლით 2008 წელს საკასო ხარჯები გაწეული იყო სუბსიდიების სახით და შეადგინა 630,7 ათასი ლარი. ფაქტობრივი ხარჯები დაფიქსირდა 694,3 ათ. ლარის ოდენობით. სხვაობა ფაქტობრივ და საკასო ხარჯებს შორის განპირობებულია ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლში ასახული 63,7 ათ. ლარით.

2008 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სუბსიდიებსა და არაფინანსურ აქტივებზე ხარჯების არასწორად მიკუთვნების შემთხვევებს. კერძოდ: ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯები 2008 წლის 8 ივლისს - 17963 ლარი და 2008 წლის 2 ოქტომბერს - 980 ლარი, ნაცვლად სუბსიდიებისა გაწეულია არაფინანსური აქტივებიდან, ამასთან აღნიშნული თანხები აღირიცხა ძირითადი აქტივების ანგარიშზე და დაემატა შენობა–ნაგებობების ღირებულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ხელშეკრულებაში, არც შესრულებულ სამუშაოთა და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის დაფიქსირებული თუ რა ფართზე და რა სახის სამუშაოები იქნა შესრულებული. სამუშაოთა შესრულების აქტში მოცემულია მხოლოდ გახარჯული მასალების ჩამონათვალი და რაოდენობა (ლაქი, საღებავი, გამათხელებელი, ემულსია, წებო, შპაკლი და სხვა) და ხელფასის ჯამური ოდენობა.

2008 წლის 17 ივნისს ვებგვერდის დამზადების ხარჯი 7062 ლარის ოდენობით ნაცვლად არაფინანსური აქტივებისა გაწეული იქნა სუბსიდიების მუხლიდან, ამავე დროს საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები - 4757 ლარი 2008 წლის 24 ოქტომბერს და - 2305 ლარი 2008 წლის 5 დეკემბერს (სულ 7062 ლარი), ნაცვლად სუბსიდიებისა გაწეული იქნა არაფინანსური აქტივებიდან. ასევე სუბსიდიების ნაცვლად არაფინანსური აქტივებიდან იქნა დაფინანსებული 2008 წლის 17 ივნისს ტელევიზორის მაგიდის შეძენის ხარჯები (405 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ შესრულდა ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მე-13 და მე–14 დანართების და ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 21-ე მუხლის მოთხოვნები. შედეგად, 2008 წლის ბალანსში და მის დანართებში არაფინანსური აქტივების ნაშთების და სუბსიდიებისა და არაფინანსური აქტივების მუხლებით გაწეული ხარჯების შესახებ ჩანაწერები არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.

2009 წლის განმავლობაში განხორციელებულმა გადახდებმა (საკასო ხარჯებმა) შეადგინა 914,2 ათ. ლარი, რაც დაზუსტებულ გეგმაზე (824,7 ათ. ლარი) 89,5 ათ. ლარით მეტია, რითაც დარღვეულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ„ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა ასიგნების გარეშე ვალდებულების აღებისა და გადახდის განხორციელების დაუშვებლობის შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, ეს არის ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების დანერგვის ღონისძიებებისათვის ორი უცხოელი კონსულტანტის (ბარი მაკარტი, პოლ შაფერი) მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ანაზღაურების თანხები (შესაბამისად 44,9 ათ. და 12,7 ათ. აშშ დოლარი), რომელიც გაწეული იქნა მსოფლიო ბანკის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი გრანტიდან 2009 წლის 24 ნოემბერს და აისახა სააგენტოს საკასო ხარჯებში 96,9 ათ.

ლარის ოდენობით საქონელი და მომსახურების მუხლით. უცხოელი კონსულტანტების მომსახურების ანაზღაურებაზე ასიგნებები სააგენტოს 2009 წლის ბიუჯეტში გაწერილი არ ყოფილა. ვალდებულებების, მოთხოვნების, გაწეული საკასო და ფაქტიური ხარჯების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახვა მოხდა მხოლოდ სახაზინო სამსახურიდან წარმოდგენილი ინფორმაციების საფუძველზე, რადგან აღნიშნულ მომსახურებაზე ხარჯების გაწევა სააგენტოს საგადახდო მოთხოვნებით არ წარმოებდა.

სუბსიდიების მუხლით გადახდებმა შეადგინა 787,8 ათ. ლარი (დაზუსტებულ გეგმაზე 6,9 ათ. ლარით ნაკლები), ხოლო არაფინანსურ აქტივებზე გაწეულმა გადახდებმა შეადგინა 29,4 ათ. ლარი (დაზუსტებულ ბიუჯეტზე 0,6 ათ. ლარით ნაკლები).

წლის განმავლობაში ეკონომიკური კლასიფიკაციის "ხარჯების" მუხლით ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 925,1 ათ. ლარი, რაც ამავე მუხლით გაწეულ საკასო ხარჯებზე (884,8 ათ. ლარი) 40,3 ათ. ლარით მეტია. ფაქტობრივი ხარჯების საკასო ხარჯებზე მეტობა განპირობებულია: ძირითადი კაპიტალის მოხმარებით (26,0 ათ. ლარი), საანგარიშო წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებით (5,0 ათ. ლარი), მატერიალური მარაგების ნაშთის შემცირებით (9,3 ათ. ლარი).

სუბსიდიების მუხლით (გრანტის გარეშე) აუდიტის დაქვემდებარებულ პერიოდში გაწეული ხარჯების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილის სახით:

(ათ. ლარი)

ხარჯების დასახელება	2008 წელი	2009 წელი	სულ	შენიშვნა
შრომის ანაზღაურება	438.8	509.8	948.6	
დაცვის მომსახურება	29.5	34.8	64.3	
საწვავი	15.1	13.8	28.9	
მონობარათები	6.5	10.3	16.8	
ელ.ენერგია	12.0	11.8	23.8	
სატელეფონო მომსახურება	5.6	7.0	12.6	

კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება და აქსესუარები	4.9	2.2	7.1	
საკანცელარიო საქონელი	3.8	3.6	7.4	
ქონების დაზღვევა	3.9	3.9	7.8	
ავტომანქანების მიმდინარე რემონტი	6,0	5.3	11.3	
საოფისე ინვენტარი	6.3	1.2	7.5	
ა/მ რეცხვის ტალონები	2.4	3.0	5.4	
წყალი	2.0	1.8	3.8	
სხვა დანაჩენი ხარჯები	19.3	12.2	31.5	
სულ	556.1	620.7	1176.8	

როგორც ცხრილიდან ჩანს, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები შეადგენს სააგენტოს ხარჯების უდიდეს ნაწილს (შესაბამისად 78,9 და 82,1 პროცენტი). 2008 წელს შრომის ანაზღაურების ხარჯებიდან ხელფასის სახით გაიცა 325,7 ათ. ლარი, პრემიის სახით - 113,1 ათ. ლარი, ხოლო 2009 წელს - შესაბამისად 428,9 ათ. და 80,9 ათ. ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოში არ ხდება სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება, რომლის ფორმაც (N 022) დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N 511 ბრძანებით.

3. კრედიტების, გრანტებისა (ფულადი და სასაქონლო) და ჰუმანიტარული დახმარებების მიღების, აღრიცხვისა და მიზნობრივად გამოყენების მდგომარეობა.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სააგენტოს მიღებული აქვს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო განვითარების ფონდის გრანტი (TF 056467, 13.07.06) ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დანერგვისათვის. გრანტი გამოიყო საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის 2006 წლის 20 მარტს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე. გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 295,0 ათ. აშშ დოლარს, ხოლო თანადაფინანსების თანხა საქართველოს მხრიდან - 50,0 ათ. აშშ დოლარს.

2008 წელს აღნიშნული გრანტიდან გამოყოფილ იქნა 118,6 ათ. ლარი. წლის

განმავლობაში თანადაფინანსების (15,8 ათ. ლარი) ჩათვლით სულ გახარჯული იქნა 127,4 ათ. ლარი, მათ შორის: 45,0 ათ. ლარი მოხმარდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ მონაცემთა ანალიტიკური ბაზის ჩამოყალიბებას და პროგრამულ უზრუნველყოფას; 9,3 ათ. ლარი - სახელმწიფო შესყიდვების, როგორც სასწავლო საგნის უმაღლეს სასწავლებელში დანერგვას; 7,8 ათ. ლარი - სააგენტოსთვის ვებგვერდის შექმნას; 29.7 ათ. ლარი - პროექტის გაშუქების მიზნით ვიდეორგოლის დამზადებასა და სატელევიზიო ეთერში განთავსებას; 18,9 ათ. ლარი - ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლას; 6.3 ათ. ლარი - ფინანსურ მენეჯმენტში კონსულტანტის მომსახურების, 9,1 ათ. ლარი - თარჯიმნების მომსახურების, ხოლო 1,3 ათ. ლარი - სასტამბო მომსახურების ანაზღაურებას.

2009 წელს გრანტის სახით გამოყოფილი იქნა 134,7 ათ. ლარი. წლის განმავლობაში თანადაფინანსების (34,5 ათ. ლარი) ჩათვლით სულ გახარჯული იქნა 167,8 ათ. ლარი, აქედან: 33,8 ათ. ლარი მოხმარდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლას; 2,9 ათ. ლარი - შესყიდვების მართვის საინფორმაციო სისტემის დიზაინისა და მისი განხორციელების გეგმის შემუშავებას; 13.7 ათ. ლარი - უცხოელი კონსულტანტების მომსახურების თანადაფინანსებიდან ანაზღაურებას (2009 წლის ნოემბერში მათვე აუნაზღაურდათ 96,9 ათ. ლარი, რომელიც სააგენტოს 2009 წლის ბიუჯეტში გაწერილი არ იყო და რომლის შესახებაც წინა პროგრამულ საკითხში უკვე აღინიშნა); 21,6 ათ. ლარი მოხმარდა ფინანსურ მენეჯმენტში კონსულტანტის და თარჯიმან–რეფერენტის მომსახურების ანაზღაურებას; 38,0 ათ. ლარით დაფინანსდა ქ. ბუქარესტში თრეინინგ–სემინარებში, ქ. ვარშავაში სასწავლო ტურში და ქ. ვაშინგტონში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა; 45,7 ათ. ლარი მოხმარდა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ქ. თბილისში თრეინინგ-სემინარის ჩასატარებლად საკონფერენციო დარბაზისა და სასტუმროს მომსახურების შესყიდვას; ხოლო 9,5 ათ.

ლარი - ქ. ბათუმში სახელმწიფო შესყიდების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებული სემინარის გამართვას; 2,6 ათ. ლარით გაწეული იქნა სასტამბო, საკანცელარიო და სხვა ხარჯები.

ქვეყნის გარეთ გამართულ სემინარებში, სასწავლო ტურსა და კონფერენციაში მონაწილეობისათვის მივლინების ხარჯების გაწევისას არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული "სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესით" განსაზღვრული საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების სადღეღამისო ნორმები, რის შედეგადაც ზედმეტად ანაზღაურებულია: სააგენტოს თავმჯდომარის ქ. ბუქარესტში 2009 წლის 23-დან 27 მარტამდე მივლინებისას - 307 ლარი; სააგენტოს თანამშრომელთა ქ. ბუქარესტში 2009 წლის 10-დან 14 მაისის ჩათვლით მივლინებისას - 601 ლარი (ამავე მივლინებისას მათთვის ანაზღაურებული იქნა ტაქსით გადაადგილების ხარჯები 116 ლარის ოდენობით, რაც ასევე ეწინააღმდეგება აღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნებს (პუნქტი N7); საგენტოს თავმჯდომარის ქ. ვარშავაში 2009 წლის 22-დან 25 ივლისის ჩათვლით მივლინებისას – 798 ლარი; სააგენტოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ქ. ვაშინგტონში 2009 წლის 7 დან 14 ნოემბრის ჩათვლით მივლინებისას – 1231 ლარი (ამავე მივლინებაში მათთვის ანაზღაურებული იქნა აგრეთვე წარმომადგენლობითი ხარჯები 838 ლარის ოდენობით, რაც ასევე ეწინააღმდეგება ხსენებული ინსტრუქციის მოთხოვნებს (პუნქტი N7).

სახელმწიფო შესყიდების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებული სემინარის ჩასატარებლად ქ. ბათუმში 2009 წლის 19 - დან 21 ნოემბრის ჩათვლით მივლინებულ სააგენტოს პერსონალს (სულ 5 კაცი) სასტუმროში ცხოვრების ხარჯების სახით აუნაზღაურდა 3931 ლარი. მივლინების ხარჯების ანაზღაურების ზემოაღნიშნული წესის მე–14 პუნქტის თანახმად, ქვეყნის შიგნით მივლინებისას საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისათვის მოსამსახურეს ეძლევა თანხა არა უმეტეს საშუალო კლასის

სასტუმროს ნომრის ღირებულებისა. ქ. ბათუმის 4 ვარსკვლავიან სასტუმრო „ინტურისტში“ გადახდილი თანხა ქვეყნის შიგნით საშუალო დონის სასტუმროში ცხოვრების ღირებულებად ვერ ჩაითვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი სემინარის მონაწილეთა კვებაზე გაწეული ხარჯების (2,9 ათ. ლარი) დამადასტურებელი დოკუმენტები (საზოგადოებრივი კვების ობიექტის ანგარიშები, სადაც მითითებული იქნებოდა თუ რომელ დღეს, რა ოდენობის, სახისა და ღირებულების მენიუთი გაუმასპინძლდნენ სემინარის მონაწილეებს). ანალოგიური მდგომარეობაა ქ. თბილისში გამართულ თრეინინგ - სემინარზე გაწეული ხარჯების (საკონფერენციო პაკეტი - 19,1 ათ. ლარი, ბანკეტი - 4,7 ათ. ლარი) დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებითაც (ყველა ამ თანხას წარმოდგენილ ინვოისებში ემატება დღგ).

ადგილი ჰქონდა მივლინების საავანსო თანხების არარეალური გაანგარიშების საფუძველზე გაცემის შემთხვევებს, კერძოდ: სააგენტოს თავმჯდომარეს 2009 წლის ივლისში ქ. ვარშავაში მივლინებისათვის ავანსის სახით ჩაერიცხა 15,4 ათ. ლარი, საიდანაც გამოუყენებელი აღმოჩნდა და დაბრუნებას დაექვემდებარა 4,6 ათ. ლარი. სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს 2009 წლის მარტში სააგენტოს თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად ქ. ბუქარესტში მივლინებისას ავანსის სახით ჩაერიცხა 21,0 ათ. ლარი, საიდანაც გამოუყენებელი აღმოჩნდა და დაბრუნებული იქნა 6,2 ათ. ლარი.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების (რომელიც სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 2 იანვრის N1 ბრძანებით არის დამტკიცებული) 26–ე მუხლის პირველი პუნქტით ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება გამოყოს შესყიდვების კოორდინატორი ან ინსპექტირების ჯგუფი, რაც 2008 – 2009 წლებში სააგენტოს მიერ არ განხორციელებულა.

 აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში (გარდა 2009 წლის მეოთხე კვარტლისა) სააგენტოს მიერ არ წარმოებდა შესყიდვების შესახებ ანგარიშების მომზადება, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას მოეთხოვება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 29-ე მუხლით. წარმოდგენილი ვერ იქნა სახელმწიფო შესყიდვების 2008 წლის დამტკიცებული გეგმაც, რაც ასევე მოითხოვება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით (პირველი პუნქტი) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით.

2008 წელს შესყიდვების სააგენტოს ფასთა კოტირების საშუალებით ჩატარებული აქვს სახელმწიფო შესყიდვა ავტომანქანებზე (29,5 ათ. ლარი). ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმებულია 87 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 190,3 ათასი ლარი.

2009 წელს სააგენტოში საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები 79 შემთხვევაში განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. ღირებულებით 124,7 ათ. ლარი.

5. მოთხოვნებისა და ვალდებულებების (დებიტორ-კრედიტორების) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობა

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააგენტოს ბალანსზე დებიტორული დავალიანების სახით ირიცხებოდა 215 ლარი (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან). ამავე პერიოდისათვის კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 6888 ლარს, საიდანაც 5104 ლარი წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა 2003 წლის შრომის ანაზღაურების დავალიანების თანხას დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით, ხოლო 1784 ლარი - ვალდებულებებს მოწოდებიდან და მომსახურებიდან.

2008 წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანება შემცირდა 178 ლარით და 2009 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 37 ლარი, ამავე პერიოდში კრედიტორული

დავალიანება შემცირდა 1142 ლარით და 2009 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 5746 ლარი (შემცირებული იქნა ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან).

2009 წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანება არ შეცვლილა და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კვლავ შეადგენდა 37 ლარს. იგი წარმოშობილია 2005 წელს და ერიცხება შპს „ტექავტომომსახურებას". ამავე პერიოდში კრედიტორული დავალიანება გაიზარდა 4982 ლარით და 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 10728 ლარი. გარდა ზემოაღნიშნული 2003 წლიდან მომდინარე სახელფასო და დამქირავებლიდან ანარიცხებზე არსებული დავალიანებისა (5104 ლარი), სააგენტოს ბალანსზე ირიცხება საკონსულტაციო მომსახურების ანაზღაურებაზე 2009 წელს წარმოშობილი 3054 ლარის დავალიანება, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯებზე წარმოშობილი 2366 ლარის დავალიანება (აქედან 1928 ლარის დავალიანება წარმოშობილია 2009 წელს) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის დაქვემდებარებულ პერიოდში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვაზე გაწეულ ხარჯებში (ავტომანქანების რემონტი) წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებებზე (შესაბამისად 78 ლარი - 2008 წელს და 1928 ლარი - 2009 წელს) სააგენტომ ვერ წარმოადგინა ვალდებულების აღების დოკუმენტი, რითაც დარღვეულ იქნა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ვალდებულების აღება დაუშვებელია. გადახდის განხორციელება უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული და დამტკიცებული ვალდებულების შესასრულებლად. ასევე დაირღვა ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ გადახდებზე ვალდებულების აღება ფინანსთა სამინისტროს

წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას ინსტრუქციის დარღვევით წარმოქმნილ ვალდებულებებზე.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში არ ჩატარებულა დებიტორ - კრედიტორებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია, რაც მოითხოვება ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N 511 ბრძანებით დამტკიცებული ფორმით (N ინვ-14).

6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის, შენახვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების მდგომარეობა.

სააგენტოს ბალანსზე 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების სახით ერიცხებოდა 651,0 ათ.ლარი, მ.შ. შენობა–ნაგებობები - 555,5 ათ.ლარი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 85,5 ათ. ლარი, არამატერიალური აქტივები - 3,3 ათ.ლარი, მატერიალური მარაგები - 6,7 ათ.ლარი. 2008 წლის განმავლობაში შნობა-ნაგებობების ღირებულებას დაემატა 18,9 ათ.ლარი (რის შესახებაც უკვე აღინიშნა პროგრამულ N2 საკითხში), მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ღირებულებას დაემატა 69,8 ათ.ლარი (მ. შ. ავტომანქანა „რენო ლაგუნა“ V63,0, გამოშვებული 1995 წელს - 8,0 ათ.ლარი, ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ E320, გამოშვებული 1998 წელს - 21,5 ათ.ლარი, კომპიუტერული ტექნიკა - 12,5 ათ. ლარი, საოფისე ავეჯი - 17,0 ათ.ლარი, საოფისე ელექტრო საქონელი - 9,5 ათ.ლარი, 1,3 ათ.ლარის საოფისე ავეჯი აყვანილი იქნა ბალანსზე კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული წინა პერიოდის შემოწმებისას მიცემული რეკომენდაციის თანახმად, აუდიტორული დასკვნის საფუძველზე); არამატერიალური აქტივების ღირებულებას დაემატა 53,5 ათ.ლარი (აქედან: ელექტრონული შესყიდვების პროგრამული უზრუნველყოფის სახით - 45,0 ათ.ლარი, ბუღალტრული პროგრამის სახით - 0,7 ათ.ლარი, ვებგვერდის ღირებულების სახით - 7,8 ათ. ლარი); მატერიალური მარაგების ღირებულებას დაემატა 16,7 ათ.ლარი, მ. შ. საკანცელარიო საქონელი - 1,4 ათ.ლარი, მცირეფასიანი ავეჯი და საოფისე ინვენტარი

- 10,6 ათ.ლარი, 4,7 ათ.ლარის მატერიალური მარაგები აყვანილი იქნა ბალანსზე კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული წინა პერიოდის შემოწმებისას მიცემული რეკომენდაციის თანახმად, აუდიტორული დასკვნის საფუძველზე).

2008 წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის მოხმარებამ შეადგინა 63,7 ათ.ლარი, მატერიალური მარაგების გამოყენებამ – 11,3 ათ. ლარი. ამის გარდა, ავტომანქანა „მერსედეს ბენცი" C 180"– ის (გამოშვებული 1994 წელს) აუქციონის ფორმით პრივატიზების შედეგად (რომელიც განხორციელდა თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ) სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება შემცირდა 9,1 ათ.ლარით; 1,1 ათ. ლარის ღირებულების მცირეფასიანი ინვენტარი (17 ოთხადგილიანი სკამი და 10 მაგიდა) ჩამოწერილი იქნა 2008 წლის 8 სექტემბრის აქტით, როგორც მწყობრიდან გამოსული და გამოუსადეგარი.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააგენტოზე რიცხული არაფინანსური აქტივების ნაშთმა შეადგინა 724,7 ათ. ლარი, მ. შ. შენობა-ნაგებობები - 545,7 ათ. ლარი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 117,0 ათ. ლარი, არამატერიალური აქტივები - 51,2 ათ. ლარი, მატერიალური მარაგები - 10,8 ათ. ლარი. წლის განმავლობაში შეძენილია 24,7 ათ. ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (მ.შ. კომპიუტერული ტექნიკა - 19,6 ათ. ლარის, საოფისე ავეჯი - 3,3 ათ. ლარის, საოფისე ელ. საქონელი - 1,8 ათ. ლარი); არამატერიალური აქტივების ღირებულება გაიზარდა 10,7 ათ. ლარით (ვებგვერდები); მატერიალური მარაგები შეძენილი იქნა 33,7 ათ. ლარის ოდენობით (მ.შ. საწვავი - 14,5 ათ. ლარი, საკანცელარიო საქონელი - 7,1 ათ. ლარი, მონო ბარათები - 7,6 ათ. ლარი, ავტომანქანის რეცხვის ტალონები - 2,7 ათ. ლარი და სხვა).

2009 წელს ძირითდი კაპიტალის მოხმარებამ შეადგინა 26,0 ათ. ლარი, მატერიალური მარაგები ჩამოწერილია 43,1 ათ. ლარის ოდენობით.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააგენტოზე რიცხული არაფინანსური აქტივების ნაშთმა შეადგინა 724,8 ათ. ლარი, მ.შ. შენობა-ნაგებობები - 540,2 ათ. ლარი,

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 127,4 ათ. ლარი, არამატერიალური აქტივები - 55,7 ათ. ლარი, მატერიალური მარაგები -1,5 ათ. ლარი.

2008 წელს სააგენტოს ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისას არ იყო გათვალისწინებული ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები, (მუხლი N3), რომლის თანახმად ძირითადი აქტივების ცვეთა გამოიანგარიშება მათი საწყისი (პირვანდელი) ღირებულების გამრავლებით აღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე. სააგენტოში ცვეთის გაანგარიშება ხდებოდა ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულებიდან და არც ცვეთის ნორმები იყო დაცული. გამომდინარე აღნიშნულიდან, არაფინანსური აქტივების ღირებულება როგორც 2008, ისე 2009 წლის ბალანსში არასწორად არის დაფიქსირებული და ექვემდებარება გადაანგარიშებას. ცვეთის არასწორად დარიცხვის გამო ბალანსის N 2 დანართში (ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით) არასწორად არის გამოყვანილი ფაქტობრივი ხარჯებიც, კერძოდ ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლით.

სააგენტოში მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები არ ტარდება ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N511 ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (ფორმა Nინვ-1, Nინვ-2, Nინვ-3, Nინვ-10, Nინვ-11). ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით უნდა ხდებოდეს აგრეთვე მატერიალური მარაგების ჩამოწერა (ფორმა N 007) და მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვა (ფორმა N008), რაც არ ხორციელდება.

სააგენტოს ბალანსზე 2010 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა სამი ერთეული ავტომანქანა: „რენო ლაგუნა V63,0” (გამოშვებული 1995 წელს), გაზ 3110 (გამოშვებული 1995 წელს, გადაცემული იქნა საპრივატიზაციოდ 2008 წლის 25 ივლისს) და „მერსედეს ბენცი“ E430 (გამოშვების თარიღი 1999 წ.), რომელიც

სადაზღვევო კომპანია სს "ჯი პი აი ჰოლდინგის" მიერ ჩანაცვლებული იქნა 2009 წლის 17 ივლისს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სააგენტოს ბალანსზე რიცხული „მერსედეს ბენც" E 320 ის ნაცვლად.

როგორც სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 3 აპრილის N2/1-0880 წერილით ირკვევა, აღნიშნული ავტომანქანა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებულა 2009 წლის 2 მარტსაც. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანია "ჯი პი აი ჰოლდინგს" ზემოხსენებული წერილით ეთხოვა სადაზღვევო თანხის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის გ. მუსაშვილის ანგარიშზე ჩარიცხვა. აუდიტის ჯგუფისათვის უცნობია თუ რა თანხით შეფასდა სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევა და რა ოდენობით ჩაერიცხა იგი გ. მუსაშვილს. ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის სადაზღვევო თანხის ფიზიკური პირისათვის ჩარიცხვა გაუმართლებლად მიგვაჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის ივლისშიც, ამავე ავტომანქანის მონაწილეობით მომხდარი ზემოხსენებული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სადაზღვევო თანხის ჩარიცხვას სააგენტოს თავმჯდომარე თავის პირად ანგარიშზე ითხოვდა აღნიშნული სადაზღვევო კომპანიისაგან. მიგვაჩნია, რომ ეს ორივე შემთხვევა შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოითხოვება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით.

7. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშების შედგენის სისრულე და შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

სააგენტოში ბუღალტრული აღრიცხვა აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში წარმოებდა „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვული მეთოდოლოგიისა და ანგარიშთა გეგმის საფუძველზე. აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდის შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგებები წარდგენილია ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის N521 და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებებით მოთხოვნილი ფორმებისა და ვადების შესაბამისად, გარდა 2008 წლის პირველი კვარტლის ბუღალტრული ანგარიშგებისა, რომელიც სახაზინო სამსახურში წარდგენილ იქნა 13 დღის დაგვიანებით, 2008 წლის 23 მაისს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს 2009 წლის ბალანსის N2 დანართში არ არის გაკეთებული ჩანაწერი სუბსიდიების მუხლით ფაქტობრივი ხარჯების შესახებ, ნაცვლად ამისა ფაქტობრივი ხარჯები გაწერილია შრომის ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურების მუხლებში, რომელთა მიხედვითაც ხარჯების დაყოფა გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და გადახდებიც (საკასო ხარჯები) არ განსაზღვრულა. სუბსიდიების მუხლით დამტკიცებული გეგმის მაჩვენებელიც არ არის მითითებული. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საანგარიშგებო დისციპლინას, რათა პერიოდული და წლიური ანგარიშგებები ხარისხიანად იქნეს შედგენილი და სახაზინო სამსახურში ვადების დაცვით წარდგენილი.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი (ჯგუფის ხელმძღვანელი)	კორნელი გაბლიშვილი
უფროსი აუდიტორი	ელენე ელიზარაშვილი